



5370-07-2-201512031606

N 5370/07

03/12/2015

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობის შესახებ

როგორც თქვენთვის ცნობილია, სს „დარიალი ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და საქართველოს მთავრობას შორის (რომელიც წარმოდგენილი იყო საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ), 2015 წლის 31 ივლისს გაფორმდა „გადამცემი ხაზის განვითარების“ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი-110“-ის (შემდგომში - ეგხ) რეკონსტრუქციას.

აღნიშნული ეგხ-ის რეკონსტრუქციის აუცილებლობა გამოწვეულია მოცემულ რეგიონში მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციაში შესვლის შემდგომ გამომუშავებული ელექტროენერჯის საქართველოს ენერჯოსისტემაში ჩართვით. მხედველობაში მისაღება ასევე მოცემული მიმართულებით ელექტროგადამცემი ხაზის სამომავლო განვითარების გეგმაც, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მეზობელ ენერჯოსისტემასთან კავშირის ხარისხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი-110“-ის რეკონსტრუქციის პროექტის შეუფერხებლად და დროულად განხორციელება იძენს სახელმწიფოებრივ დატვირთვას და უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონალური ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების თვალსაზრისით, ასევე მთლიანად საქართველოს ენერჯეტიკული დამოუკიდებლობისა და ენერჯოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ დაბა სტეფანწმინდის მიმდებარედ განთავსებულ 110 კვ ძაბვის ქვესადგურამდე პროექტის მიხედვით რეკონსტრუქციული ეგხ-ს დერეფანი პრაქტიკულად გაიმეორებს არსებული ხაზის დერეფანს და მხოლოდ ნაწილზე (საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურამდე) ათვისებული იქნება ახალი დერეფანი. ჯამში საპროექტო ეგხ-ის სიგრძე შეადგენს 13,685 კმ-ს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ეგხ-ის „დარიალი 110-ის“ რეკონსტრუქციისთვის საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება და გზმ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობა, რაც მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, დაკავშირებულია დროის დიდ მონაკვეთთან. ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „საქმიანობა შეიძლება განთავისუფლდეს გზმ-ისგან, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას“

ყოველივე ზემოაღნიშნულის და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ რეგიონში მშენებარე „დარიალი ჰესის“ ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილია 2016 წლის თებერვალში, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების სამინისტროს წინაშე, რათა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ეგხ-ის „დარიალი 110-ის“ რეკონტრუქციის პროექტი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად განთავისუფლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან.

ამასთანავე, გაცნობებთ რომ გზმ-ს განთავისუფლებასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტები, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ დადგენილი წესით წარდგენილი იქნება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი



მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

